



სს ნიკორა  
ს/კ 200050675  
contact@nikora.ge  
+995 32 269 55 50/51  
საქართველო, თბილისი  
0180, ბ. მრეწველობის ქ. #2  
[www.nikora.ge](http://www.nikora.ge)

N: LNJ-25.02.2022-1

25 თებერვალი 2022 წელი

### შეტყობინება

სააქციო საზოგადოება "ნიკორა"-ს (ს/კ 200050675)

აქციონერთა მორიგი საერთო კრების (განმეორებითი) მოწვევის შესახებ

ქ. თბილისი

25 თებერვალი 2022 წელი

წინამდებარე კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების შედგენის დრო: წინამდებარე შეტყობინება შედგენილია 25/02/2022 წელს 14:00 საათზე მოწვეული საერთო კრების შემდგომ,

2022 წლის 25 თებერვალს, 14:00 საათზე მორიგ საერთო კრებაზე ქვორუმის არ არსებობის გამო, საერთო კრება არ წარმოადგენდა გადაწყვეტილებაუნარიანს, აღნიშნულის შესაბამისად მოწვეულ იქნას ახალი კრება (განმეორებითი), იგივე დღის წესრიგით.

➤ **მოწვევის დრო/ადგილი:**

2022 წლის 11 მარტს 13:00 საათზე, მოიწვევა სს „ნიკორას“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება. საერთო კრების მოწვევის ადგილია, სს „ნიკორას“ იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა.მრეწველიშვილის N2.

➤ **საზოგადოების დასახელება/მისამართი:**

სს „ნიკორა“ (ს/კ 200050675), მისამართი: თბილისი, ა.მრეწველიშვილის N2.

აქციონერები უფლებამოსილები არიან მითითებულ დროს უშუალოდ დაესწრონ საერთო კრებას ან/და გამოყენებულ იქნას წესდებით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები, რაზეც წინასწარ უნდა შეატყობინონ კომპანიის ხელმძღვანელ პირს შესაბამისი მზაობისთვის. თავიანთ ტექნიკურ უზრუნველყოფას თითოეული აქციონერი განახორციელებს დამოუკიდებლად.

➤ **სადრიცხვო თარიღი:** საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ საადრიცხვო დღისთვის. საერთო კრების საადრიცხვო თარიღია **2022 წლის 18 თებერვალი.**

აქციონერის, საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის კუთვნილი აქციათა და ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან \_ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“, მისამართი: თბილისი, მოსაშვილის N11 ან აქციონერი უფლებამოსილია მიმართოს სს „ნიკორას“ ხელმძღვანელს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გაცემული ინფორმაციის წარმოდგენისთვის.

➤ **საერთო კრების დღის წესრიგი:**

1. სს „ნიკორას“ 2021 წლის ფინანსური შედეგების განხილვა; სს „ნიკორა“-ს გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი წინადადების განხილვა, სს ნიკორას ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე დივიდენდის განაწილების შესახებ. სს „ნიკორას“ 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხის განხილვა.

➤ **საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის პროცედურები:**

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. საერთო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საჭიროა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ხმის მიცემის

უფლების განხორციელება შესაძლებელია საერთო კრებაზე დასწრებით ან/და წესდებით <sup>№</sup> დადგენილი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით.

➤ **საერთო კრების გახსნამდე რეგისტრაცია:**

საერთო კრების გახსნამდე, 13:00 საათამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია (აქციონერი, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, კვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება).

სს „ნიკორას“

გენერალური დირექტორი:

ირაკლი ბოქოლიშვილი -----

25.02.2022